

ღღეს ნომერშია

მორიბი საბიუჯეტო ცვლილება ალგილობრივი ბიუჯეტში 2 გვ.

ნოემბერისა და დეკემბერში პრემიის სახით 61 080 ლარი გაიცა 2 გვ.

ხარაგაულში ამბულატორია შენდება 3 გვ.

კვალი ნათელი 3 გვ.

ქვიშის საშუალო 3 გვ.

ბანსხალეპები 4 გვ.

აბიტურიენტთა საჭურავლადობა

ერთიანი ეროვნული გამოცდების და სტუდენტთა საკრანტო კონკურსისათვის რეგისტრაცია 10 თებერვლიდან დაიწყო და 17 მარტამდე გასტანს. რეგისტრაციას აპლიკანტები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge; online.naec.ge). გაივლიან იქვე იხილავთ ინსტრუქციას და დეტალურ ინფორმაციას. აბიტურიენტთათვის განკუთვნილი ცნობარი დაიბეჭდება გაზეთში „ახალი განათლება“.

სახელმწიფო წელსაც დააფინანსებს ბაკალავრიატის გარკვეულ მიმართულებებს (შესაბამის პროგრამებზე ჩარიცხულები ისწავლიან უფასოდ). სასწავლებლების და მიმართულებების (პროგრამების) ნუსხა გამოქვეყნდება დამტკიცებისთანავე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (www.mes.gov.ge) და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (www.naec.ge) ვებგვერდებზე.

როგორი ქვეყანაა ყველაზე ბედნიერი

ხარაგაულის №1 საბავშვო ბაღში ათ თებერვლამდე გაგრძელდა ოთხდღიანი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ საბავშვო ბაღების აღმზრდელები, აღმზრდელის თანამშრომლები, ექთნები, მზარეულები, ბაღის გამგეები და საბავშვო ბაღში მუშაობით დაინტერესებულები. ტრენინგი ჩაატარეს სკოლამდელ დაწესებულებათა ვადამზადების, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრის წარმომადგენლებმა. ხარაგაულის №1 საბავშვო ბაღის 4-5 წლიანი ჯგუფის აღმზრდელი **ია შარაძე** წლების მანძილზე სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. ამ ტრენინგით კი გაეცნო საბავშვო ბაღის პროგრამაში სიახლეებს.



ვარძიის საბავშვო ბაღის აღმზრდელი **ნანა სიხარულიძე** ამბობს, რომ ამ ტრენინგით მეტ გამოცდილებას იძენს; იღრმავებს ცოდნას საიმისოდ, რომ უფრო საინტერესოდ იმუშაონ აღსაზრდელთან. „ამ ტრენინგით გამოადვილდება ბავშვებთან ურთიერთობა. სასურველია, ასეთი ტრენინგები კიდევ ჩატარდეს.“ ტრენინგის მონაწილე სოფელ ზვარდთან **შანა ღონღაძე** მოხარულია, რომ ეს ტრენინგი გაიარა, რადგან სურს მიიღოს მეტი გამოცდილება და იყოს კარგი სპეციალისტი.

ტრენინგი, სკოლამდელ დაწესებულებათა ვადამზადების, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრის დირექტორი **თიონა ქავთაძე** ამბობს: „კარგია, რომ ტრენინგში დამწყებ აღმზრდელებთან ერთად საბავშვო ბაღში მუშაობის დაწყებით დაინტერესებული პირებიც ჩაერთვნენ. საბავშვო ბაღებში ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში მოსაძებნი ადარ იქნება კვალიფიციური კადრები. ტრენინგის მონაწილეები მიიღებენ სერტიფიკატებს.“

მსმენელთა აუდიტორია ძალიან კარგია. მათ ჩაუტარდა ტრენინგები ინკლუზიურ ბავშვებთან ურთიერთობაზე, ზოგადედიქაციურ სწავლებაზე, მეთოდოლოგიასა და მართვაში. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა თანამშრომლების ტრენინგი საჭირო და აუცილებელია. ზოგადად, ქვეყანა, სადაც კარგად უვლიან ბავშვსა და მოხუცს, ყველაზე ბედნიერია.“

ერთ კვირის სახელობის ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი **ირმა სპისაძე** ამბობს, რომ საბავშვო ბაღის დანიშნულებაა აღსაზრდელის სრულყოფილად მომზადება სკოლისათვის. „შარაძე ჩვენს გაერთიანებას შეემატა სამი ახალი საბავშვო ბაღი ლეღვანში, ვახანსა და ვარძიში. ახალგაზრდა საბავშვო ბაღებში შევარჩიეთ კვალიფიციური კადრები, თუმცა საბავშვო ბაღის პროგრამა შეიცვალა. ამიტომ გადაწყვიტეთ, მათთვის მიგვეცა ახლებური ვანათლება.“

ტრენინგში მონაწილეობდა 65 მსმენელი. მათგან 16-მა გაიარა კვების პროგრამა, დანარჩენებმა - სასწავლო-სააღმზრდელი პროგრამა. ბაღების გამგეებმა დამატებით გაიარეს მართვის კურსი. ტრენინგში მონაწილე, საბავშვო ბაღში მუშაობით დაინტერესებულ პირებს, ვერ მივცემთ გარანტიას, რომ ისინი აუცილებლად დასაქმდებიან სკოლამდელ დაწესებულებაში, მაგრამ როდესაც ჩვენ დაგვიკავშირდება კადრები, სწორედ ვადამზადებელი მსმენელებიდან შევარჩევთ.“

ხარაგაულში სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემა დაიწყო



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში 8 ათასამდე ოჯახი სასოფლო-სამეურნეო ბარათს მიიღებს ნიადაგის დასახნადად.

აღნიშნული ბარათები 9 თებერვალს გადასცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა.

„მაღე ჩამოვიტანთ აგრობარათებს, რომლებზეც დაირიცხება ქულები,“ - ამბობს **ლორენო ლომონავას**, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დარგობრივი განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი. აგრობარათზე ქულები დაირიცხება მოსარგებლისთვის განკუთვნილი სარგებლის ღირებულების შესაბამისად (1 ქულა უდრის 1 ლარს). აგრობარათზე დაირიცხული ქულების მეშვეობით მოსარგებლე შეძლებს სასუქის, სათესლე და სანერგე მასალების, ასევე მცენარეთა მოვლის საშუალებების შეძენას.

ლორენო ლომონავას ინფორმაციით, უახლოეს ხანში მობილიზდება ტექნიკა. გაზაფხულის დადგომისთანავე მშპ „მექანიზატორი“ და სამუშაოს სხვა შემსრულებლები შეუდგებიან ხვნას. სასოფლო-სამეურნეო ბარათის გამოყენების წესი დეტალურადაა აღწერილი ამავე ბარათზე.

